საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/161 " 14 " სექტემბერი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„დ. მამისეიშვილის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №1/144 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 2021 წლის 13 სექტემბერს შემოსული ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დავით მამისეიშვილის №2564-ო წერილით მოთხოვნილია, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იმსჯელოს მისი თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის თარიღის გადავადების თაობაზე, ვინაიდან დ. მამისეიშვილის წარმოებაში არსებული საქმეების გადანაწილება სასამართლოს სხვა მოსამართლეებზე, კორონავირუსით დაინფიცირების გამო მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად შეაფერხებს სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „დ. მამისეიშვილის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №1/144 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების მე-3 აბზაცში მითითებული თარიღი ნაცვლად „2021 წლის 15 სექტემბრიდან" განისაზღვროს „2021 წლის 15 ოქტომბრიდან".

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე